

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ხელნაწერის უფლებით
თეიმურაზ გვეტაძე

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობა
საქართველოში

სადოქტორო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება
შიფრი- 02

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარდგენილი დისერტაციის

ავტორ ეფერ ატი

თბილისი, 2018

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში
ბიზნეს ტექნოლოგიების ფაკულტეტი
საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტი

ხელმძღვანელი: პროფ. ნანა შონია
რეცენზენტები: -----

დაცვა შედგება ----- წლის "-----" -----, ----- საათზე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნიკის ფაკულტეტი
სადისერტაციო საბჭოს კოლეგიის
სხდომაზე, კორპუსი -----, აუდიტორია -----
მისამართი: 0175, თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ის ბიბლიოთეკაში,
ხოლო ავტორეფერატისა - ფაკულტეტის ვებგვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი
ასოცირებული პროფესორი ლია ბერიკაშვილი

Resume

The globalization process provides developing countries with rapid economic growth opportunities through the access to the international trade and equity, which also increases the importance of foreign direct investment. Foreign direct investment allows foreign investors to use assets more efficiently and allow investees to use the best technologies, international production and trade. Foreign direct investment is an important financial source of financial investment for developing countries, where domestic investment occupies a lower share. Foreign direct investment is an important source of foreign exchange inflows to the market and, therefore, are of great importance for the stability of the national currency rate.

The dissertation is devoted to the study of the effectiveness of foreign direct investment in Georgia. Investigating the purpose of the study, the theoretical and methodological foundations of the effectiveness of foreign direct investment and some factors influencing it are studied: the principles of the formation and management of tax policy and the investment portfolio on the effectiveness of foreign investment. Also, on the basis of a general analysis of investment projects and a methodology for managing their effectiveness, ways were developed to address the problems associated with the above.

The introductory part examines and confirms the relevance of the research topic. The purpose and objectives of the study, the subject, methodology, research results and practical significance of the dissertation and its scientific innovations are set out in the introductory section. The aim of the research is to study the effectiveness of foreign direct investment in Georgia and to identify ways to solve existing problems. Here are the objectives for achieving the research goal, namely:

- ✓ Study of the theoretical and methodological basis of the effectiveness of foreign direct investment and some factors affecting it;
- ✓ Analyze the effectiveness of companies formed in Georgia by foreign capital;
Identify and remove impediments based on the results of a study on the effectiveness of foreign investment in Georgia.

The first chapter of this work outlines the basis for the formation of investment activities, the methodology of the business plan, the methodological basis for assessing the risks and effectiveness of investment projects. The functions and responsibilities of participants in the investment process are described in detail, the investment process is discussed at macro, micro and mezzo levels. The investment process at the mezzo level is reflected in the relationship between investment participants in the region and in the field. At the micro level, the investment process starts from the moment of investing in the capital of the enterprise and ends with the achievement of the investment goal. Participants in the investment process come on a bilateral basis - as resource providers, ie, investors and at the same time as investment objects. For participants in this process, it is important to identify financial targets for investment and their objectives. Investment targets are the starting point for the investment cycle.

The second chapter is fully devoted to a deep and comprehensive study of the factor of attracting foreign direct investment, in particular - the reform of the tax customs policy in Georgia and the effectiveness of the formation and management of the investment portfolio on the effectiveness of foreign investment.

The third part of the thesis is a summary report of the problems that arise in the first and second chapters. This chapter reflects the results of studies on the effectiveness of foreign investment in Georgia, namely:

- ✓ Analyze the efficiency of companies founded by foreign investments;
- ✓ Facilitating and impeding factors of foreign direct investment'
- ✓ The ways to eradicate obstacles in attracting foreign direct investment.

The conclusion of the thesis is based on the proposals and recommendations identified in the study, which have both a theoretical and practical purpose. Particular attention is paid to the facilitating and hindering factors of the effectiveness of foreign investments identified as a result of research, in particular:

Facilitating the promotion of foreign direct investment. Liberal tax system, reform of customs legislation, reform of the licensing and permitting system, free industrial zones and agreement on avoidance of double taxation with other countries. Georgia has, 55 agreements signed on "avoidance of double taxation and prevention of tax evasion" have been signed, the purpose of which is to deepen economic cooperation between countries and attract investment.

Privatization in the "Georgian way", reform of the labor code, an undeveloped capital market, bank interest rates, growing inflation dynamics, conflicts between countries and the military situation and others were identified as an impeding factor in attracting foreign direct investment.

In conclusion, the study showed that in Georgia, since 1966, 36,230 foreign investors have invested in various sectors of the economy, and today only 9,597 companies are active, which shows the efficiency of foreign investments by 37.8%.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. ინვესტიციები ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია. განსაკუთრებულ როლს ასრულებს უცხოური ინვესტიციები. სწორ დაგეგმილ ინვესტიციას როგორც ინვესტორისთვის ასევე ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სარგებლის მოტანა შეუძლია. ინვესტიციის სწორი დაგეგმის შემდეგ მინიმალური ძალისხმევა საკმარისი მაქსიმალური შედეგის მისაღებად. ადამიანების უმრავლესობა სწორად ვერ აფასებს ინვესტიციების მნიშვნელობას და ისინი თვლიან, რომ ინვესტიცია რისკის შემცველია, თუმცა ის სტაბილური შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა.

აუცილებელია ინვესტირების ეფექტიანობის პერიოდული გაანგარიშება და შედეგებზე დაყრდნობით სამომავლო გეგმების შემუშავება. წინაარმდეგ შემთხვევაში არსებობს ალბათობა იმისა, რომ კომპანია გაკოტრდეს.

ნებისმიერი კომპანია, იწყებს რა თავის საქმიანობას, ვალდებულია მკაფიოდ წარმოადგინოს პერსპექტივაში რა მოთხოვნები ექნება მას ფინანსურ, მატერიალურ, ინტელექტუალურ და შრომით რესურსებზე, რა იქნება მათი მიღების

წყაროები, და ასევე, ზუსტად გათვალისწინებული საშუალებების ეფექტიანი გამოყენება ფირმის მუშაობის პროცესში. საბაზრო პირობებში მეწარმე ვერ მიაღწევს სტაბილურ წარმატებას, თუ არ დაგეგმავს მკაფიოდ და ეფექტიანად თავის საქმიანობას. ახალი საწარმოების გახსნა, მოქმედი საწარმოების მუშაობის სრულყოფა დაკავშირებულია კაპიტალის დაბანდებასთან. მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ინვესტიციების მოზიდვა, მათ შორის უცხოურისაც. ამისათვის აუცილებელია, არგუმენტირებული, გულმოდგინედ დასაბუთებული წინადადებების წარდგენა, რომელსაც ბიზნეს გეგმა ქვია და, რომლის შემუშავებაც საქართველოში დღემდე პრობლემას წარმოადგენს.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობის შესწავლა საქართველოში და აღნიშნულთან დაკავშირებით არსებული პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა.

კვლევის მიზნის მისაღწევი ამოცანები:

- ✓ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლებისა და მასზე მოქმედი ზოგიერთი ფაქტორების შესწავლა. კერძოდ - საინვესტიციო საქმიანობის ფორმირების საფუძვლების, ბიზნეს გეგმის შედგენისა და საინვესტიციო პროექტების რისკების მართვის მეთოდოლოგიის, საბიუჯეტო ეფექტიანობის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობაზე საგადასახადო-საბაჟო პოლიტიკის გავლენის, საინვესტიციო პორტფელის ფორმირებისა და მართვის გავლენის უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობაზე;
- ✓ უცხოური კაპიტალის დაბანდებით საქართველოში ფორმირებული კომპანიების ეფექტიანობის ანალიზი;
- ✓ საქართველოში დაბანდებული უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემაფერხებელი ფაქტორების გამოვლენა და აღმოფხვრის გზების დასახვა.

კვლევის ობიექტი. საქართველოში ფუნქციონირებადი მცირე და საშუალო ბიზნესი და უცხოური კაპიტალდაბანდებით დაარსებული კომპანიები.

ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოში პირდაპირი უცხოური

ინვესტიციების მოზიდვაზე და შემდგომ მის ეფექტიანობაზე დადებით გავლენას ახდენს ლიბერალური პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო, მიმზიდველი მაკროეკონომიკური გარემო, ლიბერალური საგადასახადო კოდექსი, კონკურენტული სავაჭრო წესები, რეფორმირებული ტექნიკური რეგულირების სისტემა, ქონების პრივატიზაცია, ბიზნეს ლიცენზიების სისტემა, გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, საქართველო, როგორც უძველესი კულტურისა და ტრადიციების მქონე ქვეყანა და საინვესტიციო პორტფელის მიზანმიმართული ფორმირება და მართვა.

ასევე, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების გამოკითხვამ აჩვენა, რომ მათი დიდი ნაწილი დასაქმებულია ვაჭრობის სფეროში (≈ 70), დანარჩენი კი აგროსექტორში. ამის მიზეზი არის ვაჭრობის სფეროში საქმიანობის დაწყების სიმარტივე, რადგან ამ საქმიანობას არ ჭირდება წინასწარი მომზადება, ბიზნეს გეგმის შემუშავება და ა.შ. აგროსექტორში დასაქმებულების უმრავლესობის პირველადი საქმიანობაც ვაჭრობის სფერო იყო, მხოლოდ ბიზნესის გაფართოების და გაზრდის გამო გადაწყვიტეს მათ სხვა სფეროში გადასვლა. შესაბამისად მათ უმრავლესობასაც არასდროს არ დაუწერია ბიზნეს-გეგმა და არ იციან თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ეს დოკუმენტი. მიუხედავად იმისა, რომ $\approx 72\%$ -ს არ გააჩნდა ბიზნეს გეგმა, და გააჩნდა მხოლოდ იდეა, და მცირე მონახაზი ამ იდეის განხორციელებისა, მათი დაფინანსება მაინც მოახდინეს ადგილობრივმა კომერციული ბანკებმა ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა. დღევანდელ დღეს, როდესაც ზოგადად ბიზნესს ესაჭიროება გაფართოება და ახალი ინვესტიციების მოზიდვა, როგორც ადგილობრივი ხასიათის, ასევე საერთაშორისო პრობლემა არის არსრულყოფილად წარდგენილი ბიზნეს გეგმა.

გარდა აღნიშნულისა, გამოკითხვამ აჩვენა, რომ ბიზნეს გეგმის შდგენის დროს, დამფუძნებელი აქცენტს ძირითადად აკეთებს მის საჭიროებებზე, ხოლო ისეთი მნიშვნელოვანი მოთხოვნები, როგორებიცაა მიზნობრივი ბაზარი, კონკურენტები, რისკები, SWOT-ანალიზი და ა.შ. ან ნაკლებადაა აღწერილი, ან საერთოდ არაა ნაჩვენები. სწორედ ამ მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო, უცხოელი თუ ადგილობრივი ინვესტორი იშვიათად ინტერესდება წარმოდგენილი ბიზნეს-გეგმით, და შესაბამისად თავს იკავებს კონკრეტულ ბიზნესში ინვესტიციის ჩადებისაგან. არის შემთხვევები, როცა საკუთარი საინვესტიციო პროექტის საფუძველზე ახანდებს კაპიტალს და იწყებს ფუნქციონირებას.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობის შესწავლა სხვადასხვა კომპანიების მაგალითზე, რომლებიც დაფუძნდნენ საქართველოში და რომელთა უმეტესობის სასიცოცხლო ციკლი ხანმოკლე აღმოჩნდა.

კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდика. ნაშრომის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ქართველ და უცხოელ მეცნიერ ეკონომისტთა გამოკვლევები საინვესტიციო პოლიტიკის ფორმირებისა და მართვის შესახებ, ეკონომიკური რეფორმების სამთავრობო კონცეფციები და პროგრამები, ინვესტირებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტები და საქართველოში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით შექმნილი 36 230 ორგანიზაციის ფორმირება-ფუნქციონირების ისტორია და ზოგიერთი მათგანის ფინანსური მაჩვენებლები. გამომდინარე ზემოთქმულიდან, კვლევისას გამოყენებული იქნა კვლევის როგორც დედუქციური, ისე რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდები. ასევე, ჩატარდა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთა ანკეტირება საქართველოში არსებული ბიზნესის განვითარების პერსპექტივებისა და სწორად შედგენილი ბიზნეს გეგმის არსებობის შესახებ.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომში კვლევის შედეგად გაკეთებულია დასკვნები, მოცემულია, პრობლემათა გადაჭრის სხვადასხვა ალტერნატიული გზები და წარმოჩენილია საინვესტიციო საქმიანობის ფორმირების საფუძველები, ბიზნეს გეგმის შედგენის მეთოდოლოგია და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობის გაანგარიშების მეთოდოლოგია, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელი იქნება როგორც სასწავლო პროცესში, ისე საინვესტიციო კომპანიებსა და უცხოური კაპიტალდაბანდებით ფორმირებული ფირმებისთვის.

კვლევის შედეგების პუბლიკაციები. სადისერტაციო კვლევის პრობლემებთან მიმართებაში ავტორის მიერ გამოქვეყნებულია 3 სამეცნიერო სტატია, ქართულ და უცხოურ რეფერირებად ჟურნალებში, მათ შორის ერთი სტატია იმპაქტ-ფაქტორის ჟურნალში (Journal SEPIKE Edition 19 Frankfurt, Deutschland Poitiers, France Los Angeles, USA -

[http://docs.wixstatic.com/ugd/b199e2_3b1c20ab75e544fa8b2831792621cf12.pdf]. ავტორს მიღებული აქვს მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაში თემათ - „ინოვაციური და ინვესტიციური საქმიანობის საგადასახადო

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო კვლევა შედგება 3 თავისა და ქვეთავისაგან, რომელსაც წინ ერთვის რეზიუმე (ქართულ და ინგლისურ ენაზე), შესავალი ნაწილი და სრულდება დასკვნით. ნაშრომის ბოლოში მოცემულია იმ ლიტერატურის ნუსხა, რომელიც გამოყენებული იყო თემაზე მუშაობისას. სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურას აქვს შემდეგი სახე:

შესავალი

თავი I. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

I.1. საინვესტიციო საქმიანობის ფორმირების საფუძვლები და ბიზნეს-გეგმის შედეგის მეთოდოლოგია

I.1.1. საინვესტიციო საქმიანობის ფორმირების საფუძვლები

I.1.2. ბიზნეს-გეგმის შედეგის მეთოდოლოგია

I.2. საინვესტიციო პროექტების რისკების და ეფექტიანობის შეფასების მეთოდოლოგიური საფუძვლები

თავი II. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობაზე მოქმედი ზოგიერთი ფაქტორები საქართველოში

II.1. საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფის გზები უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით

II.2. საინვესტიციო პორტფელის ფორმირებისა და მართვის გავლენა უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობაზე

თავი III. საქართველოში დაბანდებული უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობის კვლევის შედეგები

III.1. უცხოური ინვესტიციებით დაფუძნებული კომპანიების ეფექტიანობის ანალიზი

III.2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობი და შემაფერხებელი ფაქტორები

III.2.1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობი ფაქტორები

III.2.1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შემაფერხებელი ფაქტორები და მისი გადაჭრის გზები

დასკვნები და რეკომენდაციები


გამოყენებული ლიტერატურა

ნაშრომის ძირითდი შინაარსი

სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში ასახულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობის თეორიულ მეთოდოლოგიური საფუძვლები, რომელიც მოიცავს ბიზნეს გეგმის შედგენის და საინვესტიციო პროექტების რისკების იდენტიფიცირებისა და შეფასების მეთოდოლოგიას, როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობის განმსაზღვრელ ფაქტორებს. აღწერილია ინვესტიციური პროცესის ეტაპები - ფულის დაბანდების სფეროები და დაბანდების განხორციელების მომენტი. პირველი საკითხის გადაჭრა მოითხოვს ერთმანეთს შევადაროთ რისკი და შემოსავლები დასაშვები ინვესტიციური ალტერნატივებიდან. ინვესტირების მომენტის შერჩევა არის უფრო მასშტაბური ამოცანა, რამდენადაც დაკავშირებულია ეკონომიკური ციკლში განსაზღვრულ გარდატეხის მომენტთან. ამისათვის განისაზღვრება ბაზრის მიმდინარე მდგომარეობა და ფასდება იმის ალბათობა T თუ რამდენად შენარჩუნდება მოცემული ტენდენციები (იხ.ნახ. 1.).

ნახაზი. 1.

ეკონომიკური ციკლის სხვადასხვა სტადიები



წყარო: ლ.ქოქიაური: „საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა“. გვ.72

ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საქრათველოში 1996 წლიდან დღემდე, უცხოური კაპიტალის მონაწილეობით დარეგისტრირებულია 36 230 კომპანია და დღევანდელი მდგომარეობით მხოლოდ 9 597 იურიდიული პირი ფიქსირდება, მათ საწესდებო კაპიტალში უცხოელების წილი შეადგენს 2,533,318 ლარს. რაც მეტყველებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობის 37,8%-იან

მაჩვენებელზე. მიზნის გასარკვევად გაკოტრებული კომპანიების წარმომადგენლებთან დაკავშირება შეუძლებელი გახდა და მოქმედი კომპანიების წარმომადგენლების გამოკითხვამ აჩვენა, რომ ქვეყანაში პრობლემას წარმოადგენს სწორად შედგენილი ბიზნეს გეგმა, რომელიც საბაზრო ეკონომიკის პირობებში წარმოადგენს სამუშაო ინსტრუმენტს როგორც მოქმედი ფირმებისათვის, ასევე ახალი წარმოების ფორმირებისას.

ბევრი ბიზნესმენი ბიზნეს-გეგმას ჯეროვნად ვერ აფასებს. მათ არა აქვთ კარგად წარმოდგენილი, რამდენად შეუძლია დაეხმაროს ახალ ბიზნესს კარგად შედგენილი ბიზნეს-გეგმა კაპიტალის მოზიდვაში, მომავალი გეგმების განსაზღვრაში, ანალიზური ცხრილების შედგენაში, რომლებშიც შეიძლება შეფასდეს, თუ როგორ ვითარდება დაწყებული საქმე. ბიზნეს-გეგმა აიძულებს მეწარმეს გულმოდგინედ შეისწავლოს დადგენილი სარისკო საბაზრო საქმიანობის ყველა დეტალი. ამ პროცესში შესაძლებელია გამოვლინდეს სუსტი მხარეები, რომელთა აღმოფხვრას დასჭირდება განსაკუთრებული ყურადღება. იქ, სადაც შეუძლებელია მეწარმემ გადაჭრას მსგავსი პრობლემები, თვით ამ პრობლემების გამოვლენის ფაქტი მისცემს მას საშუალებას უარი თქვას ამ წამოწყებაზე მანამ, ვიდრე დაიწყება თანხების დაბანდება. იგი მთავარი ელემენტია, რომლის გარეშედაც შეუძლებელია არა ერთი საქმის ორგანიზება, კერძოდ მცირე ბიზნესის ან დიდი წარმოებისა, არა მხოლოდ მიმდინარე იდეის ანალიზის, არამედ მისი რეალიზების შესაძლებლობაც.

გამოკითხულთა 67% თვლის, რომ დამუშავებული ბიზნეს-გეგმის არ არსებობა, შეიძლება კომპენსირებული იყოს ადგილობრივი ბიზნესის თავისებურებების ცოდნით და ცალკეული სპეციალისტების ინტუიციით. თუმცა, ასეთი პოზიცია ვერ ჩაითვლება დასაბუთებულად, რადგან ინფლაციის, საბანკო და საგადასახადო განაკვეთების ცვალებადობის პირობებში, აგრეთვე დაბანდებაების მაღალი რისკის გამო ბიზნეს-გეგმის როლი ძალიან მაღალია, რასაკვირველია თუ ის სწორედ იქნება შედგენილი.

ბიზნეს-გეგმა, როგორც გვიჩვენებს საზღვარგარეთული გამოცდილება, წარმოადგენს ისევე როგორც ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებას, ასევე სტრუქტურირებულ, გულდასმით დამუშავებულ დოკუმენტს, რომელიც აღწერს საწარმოს მიზნებს და მათი მიღწევის ხერხებს. ბიზნეს-გეგმის თავისებურება

მდგომარეობს არა მხოლოდ რაოდენობრივი მაჩვენებლების სიზუსტეში და საიმედოობაში, არამედ პროექტის იდეების საფუძვლიან, ხარისხიან დასაბუთებაში.

მეწარმეს ბიზნეს-გეგმა ეხმარება მომავალი საქმის ნათლად წარმოდგენაში და საქმიანობის გაძლიერებაში ხელს უწყობს. ინვესტორებისათვის, რომელთაც სურთ მომგებიანად დააბანდონ ფული, ესაა დოკუმენტი, რომელიც იძლევა წარმოდგენას მოსალოდნელი გაყიდვების მოცულობის და მოგების შესახებ და ეხმარება ინვესტირების რისკის პროგნოზირებაში.

ამგვარად, ბიზნეს-გეგმის მომზადება საშუალებას აძლევს საწარმოს შეაფასოს საინვესტიციო პროექტის ეფექტიანობა კონკურენციის პირობებში, განსაზღვროს განვითარების პერსპექტივები. ბიზნეს-გეგმა საწარმოსათვის არის ფინანსური რესურსების მოზიდვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, ხოლო ინვესტორებისათვის - კაპიტალის საიმედო და მომგებიანი დაბანდების გარანტია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი თავის პირველი საკითხის მეტი ნაწილი დაეთმო ბიზნეს გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიას, სადაც დეტალურად არის აღწერილი ბიზნეს გეგმის შედგენის მიზანი, ამოცანები და ის აუცილებელი რეკომენდაციები, რაც კაპიტალის დაბანდების ინტერესს გაუზიარებს უცხოელ ინვესტორს.


პირველი თავის მეორე საკითხი დათმობილი აქვს საინვესტიციო პროექტების რისკების და ეფექტიანობის შეფასების მეთოდოლოგიას, სადაც საუბარია საინვესტიციო რისკების იდენტიფიცირების და მართვის როლზე უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობაში. განხილულია საინვესტიციო პროექტების როგორც გარე, ისე შიდა რისკები და მათი მართვის მეთოდოლოგია რისკების შეფასების ხარისხობრივ და რაოდენობრივ მეთოდებზე დაყრდნობით.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობაზე განსაკუთრებულ როლს ასრულებს ახალი საინვესტიციო პროექტის დასაბუთება და დანერგვა, რომელიც მოითხოვს გარკვეულ დროს საკვლევი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისათვის, ტექნოლოგიური მომზადებისათვის, ბაზრის შესწავლასა და პროდუქციის გამოშვების დაგეგმილ პარამეტრებზე გასვლას. ყველა ეს სტადია დაკავშირებულია კაპიტალის დანახარჯებთან, რომელთა უკუგება იწყება პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის გარკვეულ ეტაპზე.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავი დათმობილი აქვს საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფის გზებს საქართველოში და საინვესტიციო პორტფელის ფორმირებისა და მართვის მეთოდოლოგიას, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობაზე, სწორედ ლიბერალურ საგადასახადო პოლიტიკაზე არის დამოკიდებული უცხოური ინვესტიციების შემოდინება ქვეყანაში. კვლევამ დაადასტურა, რომ 2005 წლიდან მოყოლებული, სახეზე გვაქვს ერთი მხრივ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა, მეორეს მხრივ კი, მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათების შემოღება უცხოელი ინვესტორებისათვის. გატარებული ლიბერალური ეკონომიკური რეფორმები აღიარებულ იქნა, როგორც მნიშვნელოვანი მიღწევა რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. ცალკეულ მეცნიერთა მოსაზრებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მკვეთრი ზრდა განპირობებული იყო საქართველოს ბიზნეს გარემოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესებით. ძირითად პოლიტიკურ რეფორმებთან ერთად, 2004 წლიდან მოყოლებული მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა საფინანსო-საგადასახადო სფეროში, რამაც მნიშვნელოვანდ გაზარდა საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის ხარისხი და გაამარტივა საგადასახადო დეკლარირება (იხ. ნახაზი 2).

ნახაზი 2.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება საქართველოში (მლნ. აშშ დოლარი, 2005-2017წწ).



წყარო: „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური“: <http://geostat.ge>

ნახაზიდან ჩანს რომ, 2008 წლისათვის არსებულმა ორმაგმა კრიზისმა, საომარმა კონფლიქტმა რუსეთთან და მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, მნიშვნელოვნად შეამცირა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები. 2009 წლიდან დაიწყო პროცესის გამოსწორების ფაზა და უკვე ამ წლისათვის დაფიქსირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების ზრდა. ასევე ამ წლებისათვის პრობლემას ამწვავებდა თავისუფალი საინვესტიციო რესურსების ხელმისაწვდომობა მსოფლიოს ბაზარზე. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა მნიშვნელოვნად შეაფერხა უცხოური ინვესტიციების შემოდინება არამარტო საქართველოში, არამედ მთლიანად მსოფლიო ეკონომიკაში. აღსანიშნავია 2011-2013 წლებში ინვესტიციების კლება, უფრო სწორედ გადინებასაც ქონდა ადგილი, რაც მთავრობის შეცვლასთან იყო დაკავშირებული.

აქვე განხილულია საქართველოს მთავრობის მიერ ეტაპობრივად განხორციელებული რეფორმები პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით და საინვესტიციო პორტფელის ფორმირებისა და მართვის საკითხები საქართველოში.

საინვესტიციო პორტფელის მიზანმიმართული ფორმირება და მართვა პირდაპირ კავშირიშია დაბანდებული კაპიტალის ეფექტიანობაზე, კომპანია მაშინ აღწევს დადებით ეფექტს, როცა გარანტირებული აქვს სისტემატიური მოგება. თუმცა, საქართველოში საინვესტიციო პორტფელების მართვა წარმოადგენს პრობლემას, დღემდე განვითარების საწყის ეტაპზეა ფასიანი ქაღალდების ბაზარი, რომელიც ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოადგენილია პირველად და მეორად ბაზრებად, მეორადი ბაზარი - საქართველოს საფონდო ბირჟა¹ - სავაჭრო გარიგებების დეფიციტს განიცდის. მიმდინარე წლის 31 მაისის მონაცემებით საფონდო ბირჟის ჯამური კაპიტალიზაციის მოცულობა, 1999 წლიდან დღემდე, შეადგენს 2,479,159,630.62 ლარს².

2018 წლის 1 ივნისის მდგომარეობით სსბ-ის სავაჭრო სისტემაში დაშვებულია 74 კომპანიის ფასიანი ქაღალდი, რომელთა საერთო საბაზრო კაპიტალიზაციამ შეადგინა 1.160 მილიარდი აშშ დოლარი, ხოლო საშუალო დღიურმა ბრუნვამ 2018 წლის ივნისის თვეში - 45 ლარი³.

¹ <http://gse.ge/> - 04.06.2018 წ

² <http://gse.ge/history/capitalizations>

³ <http://gse.ge/about-gse>

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ადგილი ქონდეს როგორც კორპორაციული, ისე სახლმწიფო ფასიანი ქაღალდების მეტი სიხშირით წარდგენას საქართველოს საფონდო ბირჟაზე, რაც ხელს შეუწყობს საინვესტიციო პორტფელის ეფექტურ ფორმირებასა და მართვას.

მესამე თავში ასახულია საქართველოში დაბანდებული უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობის კვლევის შედეგები, კერძოდ - უცხოური ინვესტიციებით დაფუძნებული კომპანიების ეფექტიანობის ანალიზი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის როგორც ხელშემწყობი, ისე შემაფერხებელი ფაქტორები. უცხოური ინვესტიციებით დაფუძნებული კომპანიების ეფექტიანობის ანალიზმა აჩვენა, რომ უცხოური ინვესტიციები საქართველოში სხვადასხვა სახით გვხვდება, ყველაზე მეტად გავრცელებული ტიპია ინვესტიციები უკვე არსებულ ადგილობრივ ბიზნესში.


დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოში 9 597 იურიდიული პირი ფიქსირდება უცხოელი დამფუძნებლის ან მეწილის სახით. ამ კომპანიების საწესდებო კაპიტალში უცხოელების წილი გამოსახული ლარებში და ის 2,533,318 ლარს შეადგენს. მათი წილები 1%-დან 100%-მდე მერყეობს და საშუალოდ 63.23%-ს შეადგენს.

უცხოური ინვესტიციები გადანაწილებულია როგორც მცირე, ისე საშუალო და მსხვილ ბიზნესში, რომლის მიხედვითაც 2460 კომპანია მცირეა, 1130 საშუალო, ხოლო 507 მსხვილი (იხ.ნახაზი 3).

შედეგების თანახმად შეგვიძლია ვთქვათ, რომ უცხოელი ინვესტორებისთვის ბიზნესი მიმზიდველია საწყის სტადიაზე, როდესაც საჭირო ინვესტიციები გაცილებით ნაკლებია, ხოლო შესაძლო სამომავლო ამონაგები გაცილებით დიდი.

ნახაზი 3

უცხოური ინვესტიციების გადანაწილება ბიზნეს სექტორში



წყარო: დისერტაციის ავტორი


ასევე, აღმოჩნდა, 2017 წლის მონაცემებით, მოცემული იურიდიული პირები საშუალოდ 28 ადამიანს ასაქმებენ. დასაქმებულთა სრული რაოდენობა კი 116,325 კაცს შეადგენს, რომელთა საშუალო ანაზღაურება დაახლოებით 566 - ლარია. თუმცა განსხვავებულია მენეჯმენტის საშუალო ხელფასის სტატისტიკა და ბოლო მონაცემებით ის საშუალოდ 1448 ლარია. შედეგად შეგვიძლია ვთქვათ რომ მენეჯმენტის ხელფასები სხვა თანამშრომლების ხელფასებს 2.5-ჯერ აღემატება.

სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გამოვყავით საქართველოში უცხოური კაპიტალით დაფუძნებული ლიდერი კომპანიები, რომელთა ბიზნესი დღესაც წარმატებით ფუნქციონირებს (იხ. ნახაზი 4).

მეოთხე ნახაზიდან ჩანს, რომ ტაილანდს ყველაზე მეტი წარმატებული ინვესტიცია აქვს განხორციელებული და მათი კომპანიების 66% დღესაც მოქმედია, შემდეგ მოდის სეიშელები და კვიპროსი.

ნახაზი 4

ინვესტიციების განხორციელების მხრივ წარმატებული ქვეყნები




აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ საინტერესო იქნებოდა განგვეხილა თუ რა არის ამ კომპანიებისა და ქვეყნების წარმატების საიდუმლო, მაგრამ სამწუხაროდ, ბევრმა კომპანიამ უარი განაცხადა ჩვენთან თანამშრომლობაზე. სამომავლოდ, კარგი იქნება, თუ ჩვენი მთავრობა აქტიურად შეისწავლის ამ ციფრებს, გამოიკვლევს მიზეზებს და ჩაერთვება მოლაპარაკებებში, რადგან, რაც შეიძლება, ამ წარმატებული ქვეყნებიდან წამოვიდეს უფრო მეტი ინვესტიცია. ფაქტია, რომ ამ ქვეყნებმა გაამართლეს და თითქმის ბოლომდე მიაღწიეს დასახულ მიზნებს.

სტატისტიკური მონაცემებზე დაყრდნობით გაკეთდა ინვესტიციების რეგიონული განაწილების ანალიზი (იხ. ნახაზი 5).

მეხუთე ნახაზიდან ნათლად სჩანს, რომ ინვესტიციების უდიდესი ნაწილი - 66%, თბილისში არის თავმოყრილი, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საქართველოს არაპროპორციულ განვითარებას. ამიტომ, კარგი იქნებოდა, არამარტო თბილისი ყოფილიყო ლიდერი, არამედ სხვა ქალაქებიც, რაც ამავდროულად დადებითად აისახებოდა იმ ქალაქის თუ რეგიონის ეკონომიკურ წინსვლასა და განვითარებაში.

ნახაზი: 5

ინვესტიციების რეგიონული განაწილება



ერდადერთი სტატისტიკური მონაცემი ინვესტიციების შესახებ, რომელიც შეგვიძლია რეგიონულ კონტექსტში განვიხილოთ, ეს არის ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მეთოდოლოგიის მიხედვით, ფიქსირებული აქტივი (ძირითადი კაპიტალი) განისაზღვრება როგორც წარმოებითი აქტივები, რომლებიც მრავალჯერ ან ხანგრძლივად (ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში) გამოიყენება წარმოების ძირითად პროცესში. ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივში ნაწილობრივ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსაც მოიცავს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს ამ ეტაპზე ბოლო ინფორმაცია ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების შესახებ 2012 წლის ჩათვლით აქვს. მიუხედავად აღნიშნულისა, რამდენიმე კომპანიის მონაცემებზე დაყრდნობით ჩატარდა კვლევა, იმაზე თუ რა შედეგი მოუტანა განხორციელებულმა ინვესტიციებმა მათ რეგიონს და მთლიანად საქართველოს:

კომპანია 1. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო 1.-„Fresh-Georgia”
 კომპანია დაარსდა 2009 წელს ეგვიპტური ინვესტიციით (სრულად) თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში (თიზ). თიზ შეიქმნა სამთავრობო დადგენილების საფუძველზე და მდებარეობს ქუთაისის ყოფილი საავტომობილო ქარხნის ტერიტორიაზე. საერთო ფართობია 27 ჰექტარი. შექმნის ინიციატორია ტერიტორიის მეპატრონე, შპს „ჯორჯიან ინტერნეშნლ ჰოლდინგი”, რომელიც ამავდროულად არის თიზ-ის ადმინისტრატორიც.

კომპანიის საქმიანობის სახეა საყოფაცხოვრებლო გაზისა და ელექტრო ტექნიკის გამოშვება-რეალიზაცია. განხორციელებულმა ინვესტიციამ 2009 წელს შეადგინა 55 750 580 აშშ. დოლარი, 2010 წელს - 269 685 250 აშშ დოლარი.

კომპანიის დასაქმებულების საშუალო მაჩვენებელი 2009-2012 წლებში საშუალოდ 800-1000 კაცამდე იყო, საშუალო ხელფასი კი 400-600 ლარს შეადგენდა. 2013 წლიდან დღემდე კი შემცირება შეინიშნება, აღნიშნული მდგომარეობა გამოიწვია იმან რომ, გაყიდვების მოცულობა საგრძნობლად დაიკლო, რაც დაკავშირებული იყო საგარეო ფაქტორებით. ის ბაზრები სადაც, ძირითადად ექსპორტი ხორციელდებოდა (აზერბაიჯანი, უკრაინა, რუსეთი), ექსპორტზე უარი განაცხადეს მაგ: რუსეთი, რომელმაც აკრძალა პროდუქციის შეტანა, რაც უკვე დიდი დარტყმა იყო კომპანიისთვის. აზერბაიჯანში შესუსტდა რეალიზაცია, რადგანაც მას შიდა კონფლიქტები ქონდა.

დღეს კი, Fresh-Georgia აგრძელებს ფუნქციონირებას, უკვე ძალზე შემცირებული კადრებით, სადაც დასაქმებულების რაოდენობა შეადგენს 134 კაცს, საშუალო ხელფასი კი 300-500 ლარია და გაყიდვა ხდება უკვე ადგილობრივ ბაზრებზე.

კომპანია 2. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო 2. მეორე კომპანია, რომელიც თიზ-ში შეიქმნა ეს არის ფრანგული კომპანია „ატლანტიკ ჯგუფის“ წევრი საწარმო „ატლანტიკ საქართველო“ რომელიც 2017 წლის 9 თებერვალს შეიქმნა. ინვესტირებულია 45 მილიონი ლარი. დასაქმებულია 370 ადამიანი, რომელთა საშუალო ხელფასი 600-700 ლარამდეა, იგეგმება სამომავლოდ მთი გაზრდაც, მაგრამ ვფიქრომ რომ ეს მარტო გეგმა არ იქნება, რადგანაც არსებობის მანძილზე უკვე ორჯერ მოხდა ხელფასის მატება და ვიმედოვნებ, სამომავლოდაც ასეთ ტემპს გააგრძელებენ. დასაქმებულები სრულად არიან გადამზადებული უმაღლესი ევროპული სტანდარტების მიხედვით. მათ აქვთ შესაბამისი კვალი და ტრანსპორტირება, უზრუნველყოფილია სამუშაო გარემო. კომპანია ექსპორტს ახორციელებს ამ ეტაპზე რუსეთსა და ესპანეთში.


კომპანია 3. „აწარმოე საქართველოს ფარგლებში“-საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ მხარდაჭერილი პროექტების რიცხვს შპს „ემჯიემტექს“ შეემატა. იგი წარმოადგენს ქართულ-რუმინული ინვესტიციით შექმნილ საწარმოს. იგი 2018 წლის მაისში ოფიციალურად გაიხსნა რომელიც არის რუმინული ტანსაცმლის მწარმოებელი

კომპანიის „Ottorose“ შვილობილი კომპანია, რომელიც პროდუქციას მსოფლიოში ისეთი ცნობილი ბრენდებისთვის აწარმოებს, როგორებიცაა: „H&M“, „Mango“, „Zara“, „Coast“, „Colveta“, „United Collors of Benneton“, „Oasis“ და სხვა. საწყის ეტაპზე უკვე განხორციელებულია 1 200 000 ლარის ინვესტიცია, დასაქმებულია 250 ადამიანი, რომელთა საშუალო ხელფასი 400 ლარს შეადგენს. სამომავლოდ კი კომპანიის დასაქმებულების რცხვი 600 კაცამდე უნდა ავიდეს.. ექსპორტი განახორციელა სამხრეთ აფრიკაში, თურქეთში და რუმინეთში.

კომპანია 4. EBRD და რეინვესტირება-ევროპაში წვენებისა და უალკოჰოლო სასმელების ყველაზე მსხვილი მწარმოებელი კომპანია „რაუხი“ ნაბელავის ჩამომსხმელ კომპანია სს „წყალ მარგებელთან“ ერთობლივ წარმოებას იწყებს. 2017 წელს, სს „წყალ მარგებელის“ 20 წლისთავთან დაკავშირებით, გურიაში,სოფელ ნაბელავში, კომპანიის ახალი, მრავალპროფილური უალკოჰოლო სასმელების ქარხანა გაიხსნა. ამ ქარხანაში „წყალი მარგებელი“ აწარმოებს, როგორც მინერალურ წყალ „ნაბელავსა“ და წყაროს წყალ „ბახმაროს“, ასევე „რაუხის“ წვენებს, ცივ ჩაის, ლიმონათსა და სხვა უალკოჰოლო სასმელს. ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში წარმოებული საერთაშორისო ბრენდის პროდუქტი მრავალ ქვეყანაში გავა ექსპორტზე. ახალ ქარხანაში განხორციელდა 91 მლნ ლარზე მეტის ინვესტიცია შემდეგი პროპორციით:

ნახაზი: 6

განხორციელებული ინვესტიცია (მლნ.ლარი)



სადაც,

- პარტნიორები-ეს არის „შვეიცარული ფონდის“ წარმომადგენლები, რომლებიც ქარხნის პარტნიორები არიან, მათი წილი დაფინანსების 24.53% შეადგენენ

- EBRD სესხი-39.98% უჭირავს,
- ხოლო კომპანიის დაგროვილ მოგებას (რეინვესტირება)- 35.49%.

დასაქმებულია 210 ადამიანი. ოდენობა ამ კუთხით არ გაზრდილა, რაც იყო ძველ „წყალი მარგებლის“ ქარხანაში იგივე დარჩა, მხოლოდ მოხდა კვალიფიციური კადრების დატოვება, და არაკვალიფიციური კადრების გაშვება და პროფესიონალების აყვანა.

რაც შეეხება ანაზღაურებას, მუშების ხელფასი შეადგენს 700-800 ლარს ხელზე ასაღებს, ხოლო ადმინისტრაციის 1000-1100 ლარს.

წარმოებული პროდუქციით მარაგდება როგორც ადგილობრივი ბაზრები, ასევე ადგილი აქვს ექსპორტს ისეთ ქვეყნებში, რომლებიცაა: რუსეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, ყაზახეთი და არაბეთის ქვეყნები.

კვლევის ჩატარებისას, გამოიკვეთა ისეთი სფერო, რომელთა ზოგადად განხილვა მიზანშეწონილად მივიჩნიეთ. ეს არის ტურიზმის სფერო, ვთვლით რომ ამ მხრივ საქართველო მომავლის ერთ-ერთ საუკეთესო საინვესტიციო ლოკაციაა. ტურიზმის სექტორში, 2017 წლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა სპა და გამაჯანსაღებელი ინდუსტრია, რომლის ფარგლებშიც საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობს ინვესტორების მოსაზიდად და იმერეთში, კერძოდ, წყალტუბოში სპა და გამაჯანსაღებელი ქალაქის განვითარებისათვის. ეს სექტორი ხელს უწყობს საქართველოს წარმოაჩინოს საკუთარი კონკურენტული უპირატესობები და მოიზიდოს მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია. სწორედ რომ მოცემული მიმართულების მეშვეობით საქართველომ განსაკუთრებული ჯილდო მიიღო სპა და გამაჯანსაღებელ სექტორში, როგორც საუკეთესო საინვესტიციო ლოკაციამ.

ტურიზმის სექტორში, 2017 წლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა სპა და გამაჯანსაღებელი ინდუსტრია, რომლის ფარგლებშიც საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობს ინვესტორების მოსაზიდად და წყალტუბოში სპა და გამაჯანსაღებელი ქალაქის განვითარებისათვის. ხსენებული სექტორი ხელს უწყობს საქართველოს წარმოაჩინოს საკუთარი კონკურენტული უპირატესობები და მოიზიდოს მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია. სწორედ რომ მოცემული მიმართულების მეშვეობით საქართველომ განსაკუთრებული ჯილდო მიიღო სპა და გამაჯანსაღებელ სექტორში, როგორც საუკეთესო საინვესტიციო ლოკაციამ.

თითოეულ უცხოელ ინვესტორს, რომელიც საქართველოს ბაზრით არის დაინტერესებული, შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს სახელმწიფოს მიერ ინიცირებული პროგრამის „წარმოე საქართველოში“ სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების კომპონენტით, რომელიც მეწარმეებისთვის ხელმისაწვდომს ხდის ფინანსებსა და საკონსულტაციო მომსახურებას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია წარმატებული საერთაშორისო ბრენდების გამოცდილების დანერგვა და ე.წ. „ფრენჩაიზინგის“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახადების თანადაფინანსება. აღნიშნული პროექტის არსებობის გათვალისწინებით, საქართველომ ჯილდო მოიპოვა ფინანსური მხარდაჭერის ნაწილშიც, რომელიც ხელს შეუწყობს უცხოელ ინვესტორებს განახორციელონ მასშტაბური პროექტები ტურიზმის მიმართულებით.

კვლევების შეჯამებით, შეიძლება მივიდეთ იმ დასკვნამდე რომ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით და სახელმწიფოს მხარდაჭერით შექმნილი კომპანიები მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ზრდისა და განვითარებისათვის. ამიტომ, მთავრობის მხრივ გარკვეული ნაბიჯები უნდა გადაიდგას იმ კუთხით რომ უფრო მეტად დახვეწოს საინვესტიციო გარემო. შექმნას უფრო მეტი ხელისშემწყობი ფაქტორები, რათა ჩვენი ქვეყანა მეტად მიმზიდველი გახადოს ინვესტორებისათვის. თითოეული გადადგმული ახალი ნაბიჯი ამ მიზნის მისაღწევად, ნიშნავს მეტ ინვესტიციას, მეტ დასაქმებას, მეტ გადასახადებს ბიუჯეტში, რაც საბოლოო ჯამში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერების ერთ-ერთი (თუ არა ერთადერთი) მიზეზი გახდება.

გარდა ზემო აღნიშნულისა, მესამე თავის მეორე ქვესაკითხში ასახულია კვლევის შედეგად გამოვლენილი უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობის ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები, კერძოდ:

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობი ფაქტორები - ლიბერალური საგადასახადო სისტემა, საბაჟო კანონმდებლობის რეფორმა, ლიცენზირებისა და ნებართვების სისტემის რეფორმა, თავისუფალი ინდუსტრიული ზონები და საქართველოს მიერ სხვა ქვეყნებთან გაფორმებული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება. საქართველოს 55 ქვეყანასთან აქვს „ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ“ გაფორმებული

ხელშეკრულება, რომლის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებასა და ინვესტიციების მოზიდვას.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელისშემშლელ ფაქტორებად გამოიკვეთა პრივატიზება „ქართულად“, რეფორმები შრომის კოდექსში, კაპიტალის ბაზრის განუვითარებლობა, საბანკო სექტორში განაკვეთები, ინფლაციის მზარდი დინამიკა, ქვეყნებს შორის არსებული კონფლიქტი და საომარი ვითარება და სხვა.

საკითხის შესწავლისას დადასტურდა, რომ ბოლო წლების განმავლობაში ქვეყანაში ჩამოყალიბებული საგადასახადო გარემო ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალურია არამხოლოდ რეგიონში, არამედ ევროპასა და მსოფლიოშიც კი. საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივით მე-8 ადგილზეა მსოფლიოს 185 ქვეყანას შორის, თუმცა პრინციპული ხასიათის პრობლემები, რომლებიც საქართველოში ჯერ კიდევ არსებობენ, ხელს უშლიან და, ფაქტობრივად, ანეიტრალებენ იმ წარმატებებს, რომლებსაც ქვეყანამ უკვე მიაღწია. კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა, ასევე - გადახდის უუნარობასთან, კომერციული დავების გადაჭრასა და ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული მრავალი პრობლემური საკითხი. მსგავსი დაბრკოლებები კი აუარესებენ სამეწარმეო გარემოს, ამცირებენ ინვესტორთა ნდობას და უმნიშვნელოს ხდიან სხვა სფეროებში ჩამოყალიბებულ ქმედით მექანიზმებს.

ცხრილი 1

ცვლილებები საქართველოს საგადასახადო სისტემაში

გადასახადები:	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
გადასახ./რაოდენობა	7	7	6	6	6	6	6	6	6	6	6	6	6
დღგ (%)	18	18	18	18	18	18	18	18	18	18	18	18	18
საშემოსავლო გადასახადი (%)	12	12	32/25 ¹	20	20	20	20	20	20	20	20	20	20
სოც.გადასახადი (%)	20	20	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
კორპორაციული გადასახადი (%)	20	20	15	15	15	15	15	15	15	15	15	15	15
დივიდენდი და პროცენტი (%)	10	10	10	5	5	5	5	5	5	5	5	5	5

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717>

საგადასახადო სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილებები 2008 წლიდან დაიწყო (იხ. ცხრილი №1):

- 1) გაუქმდა სოციალური გადასახადი და შეიქმნა ერთიანი „საშემოსავლო გადასახადი“ 25%-ის ოდენობით, რომელმაც ერთი წლის შემდგომ 20%-მდე დაიწია;
- 2) შემცირდა მოგების გადასახადი (20%-დან - 15%-მდე);
- 3) განახევრდა გადასახადის განაკვეთი დივიდენდებსა და პროცენტებზე 10%-დან 5%-მდე;
- 4) პროდუქციის 90%-ზე საიმპორტო ტარიფების რაოდენობა გაუქმდა და 16 სხვადასხვა სახის ტარიფიდან მხოლოდ 3 (0%; 5%; 12%) დარჩა;
- 5) პროდუქციათა უმრავლესობაზე საბაჟო გადასახადების მოხსნის შედეგად, ის მხოლოდ გარკვეული სახის სასოფლო სამეურნეო და სამშენებლო პროდუქციაზე შენარჩუნდა, და ბოლოს;
- 6) საქართველოში იმპორტსა და ექსპორტზე ქვოტები არ მოქმედებს. (წყარო: საქართველოს მთავრობა).

რა თქმა უნდა, ყველა ცვლილებას მხოლოდ დადებით შედეგები არ მოჰყოლია, მაგ: საიმპორტო ტარიფების მასობრივმა გაუქმებამ ადგილობრივი წარმოების პროდუქცია, უცხოურთან შედარებით, არაკონკურენტუნარიან პირობებში ჩააგდო. საშემოსავლო და სოციალური გადასახადების გაერთიანება და განაკვეთის 20%-მდე დაწევა დაქირავებულების სახელფასო განაკვეთის ზრდას მოიაზრებდა. თუმცა, ზოგ შემთხვევებში პირიქითაც მოხდა. პოზიტიური მომენტებიდან შესაძლოა გამოვყოთ: მნიშვნელოვანი ინსტიტუციური და პროცედურული რეფორმები, ერთი ფანჯრის პრინციპის დამკვიდრება და ონლაინ მომსახურებების გაჩენა.

საგადასახადო ტვირთის შემცირებითა და გადასახადების ადმინისტრირების გამარტივების გზით, საქართველოში ბიზნესის კეთება გამარტივდა, რამაც უცხოელი ინვესტორების დაინტერესება გამოიწვია. აღსანიშნავია განსაკუთრებული დაბეგვრის რეჟიმის შემოღება მიკრო და მცირე ბიზნესისათვის:

- ✓ მიკრო-ბიზნესი (ბრუნვა არაუმეტეს 30 000 ლარისა) - გათავისუფლებულია გადასახადებისგან;
- ✓ მცირე ბიზნესი (ბრუნვა არაუმეტეს 100 000 ლარისა) - იხდის დასაბეგრი შემოსავლის 3 ან 5%-ს.

დასკვნა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობის შესწავლისას გამოიკვეთა შემდეგი მომენტები:

1. საინვესტიციო საქმიანობა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია წარმოების განვითარების ციკლოზობით, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი გადახდისუნარიანი მოთხოვნა ინვესტიციებზე შედარებით მეტად ექვემდებარება კრიზისული პროცესების ნეგატიურ გავლენას.
2. ბიზნესში აქტიური ინვესტირება აყალიბებს წინაპირობებს ეკონომიკის კრიზისიდან გამოსვლის და თანმიმდევრული და მყარი ეკონომიკური ზრდისათვის.
3. ბიზნეს-გეგმა ეხმარება პოტენციურ ინვესტორებს შეექმნათ ნათელი წარმოდგენა პროექტის ამოცანების და ეფექტიანობის შესახებ, შეაფასონ დაბანდებათა საიმედოობა და მოსალოდნელი შემოსავლიანობა.
4. საქმიანმა პრაქტიკამ გამოიმუშავა გარკვეული მოთხოვნები ბიზნეს-გეგმების მიმართ, რომელთა შესრულება საშუალებას იძლევა გავაერთიანოთ პროექტის შესახებ აუცილებელი ინფორმაცია, პროექტის განხორციელების პრინციპები და ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ საბოლოო შედეგებზე.
5. ბიზნეს-გეგმის შედგენა შეიძლება დაევალოს საწარმოს სპეციალისტებს, რომლებიც დაკავებულები არიან პროექტით, ხოლო მათ დასახმარებლად მიზანშეწონილია პროფესიონალი კონსულტანტების მოწვევა.
6. ბიზნეს-გეგმის მომზადება საშუალებას აძლევს საწარმოს შეაფასოს საინვესტიციო პროექტის ეფექტიანობა კონკურენციის პირობებში, განსაზღვროს განვითარების პერსპექტივები. ბიზნეს-გეგმა საწარმოსათვის არის ფინანსური რესურსების მოზიდვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, ხოლო ინვესტორებისათვის - კაპიტალის საიმედო და მომგებიანი დაბანდების გარანტია.
7. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობის მისაღწევად აუცილებელია ინვესტორმა წინასწარ განსაზღვროს გარე და შიდა რისკები, რომელიც უნდა შეაფასოს და მართოს კოორდინირებულად და თანმიმდევრულად.
8. საინვესტიციო პორტფელის მიზანმიმართული ფორმირება და მართვა პირდაპირ კავშირიშია დაბანდებული კაპიტალის ეფექტიანობაზე, კომპანია მაშინ აღწევს დადებით ეფექტს, როცა გარანტირებული აქვს სისტემატიური მოგება.

9. საინვესტიციო პროექტების ეფექტიანობის შესაფასებლად აუცილებელია გამოყენებული იქნას კომერციული, საბიუჯეტო და ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლები. თუმცა, საქართველოში საინვესტიციო პორტფელების მართვა წარმოადგენს პრობლემას, დღემდე განვითარების საწყის ეტაპზეა ფასიანი ქაღალდების ბაზარი, რომელიც ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოდგენილია პირველად და მეორად ბაზრებად, მეორადი ბაზარი - საქართველოს საფონდო ბირჟა - სავაჭრო გარიგებების დეფიციტს განიცდის. მიმდინარე წლის 31 მაისის მონაცემებით საფონდო ბირჟის ჯამური კაპიტალიზაციის მოცულობა, 1999 წლიდან დღემდე, შეადგენს 2,479,159,630.62 ლარს. 2018 წლის 1 ივნისის მდგომარეობით სსბ-ის სავაჭრო სისტემაში დაშვებულია 74 კომპანიის ფასიანი ქაღალდი, რომელთა საერთო საბაზრო კაპიტალიზაციამ შეადგინა 1.160 მილიარდი აშშ დოლარი, ხოლო საშუალო დღიურმა ბრუნვამ 2018 წლის ივნისის თვეში - 45 ლარი.
10. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ადგილი ქონდეს როგორც კორპორაციული, ისე სახლმწიფო ფასიანი ქაღალდების მეტი სიხშირით წარდგენას საქართველოს საფონდო ბირჟაზე, რაც ხელს შეუწყობს საინვესტიციო პორტფელის ეფექტურ ფორმირებასა და მართვას.
11. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშემწყობი ფაქტორები - ლიბერალური საგადასახადო სისტემა, საბაჟო კანონმდებლობის რეფორმა, ლიცენზირებისა და ნებართვების სისტემის რეფორმა, თავისუფალი ინდუსტრიული ზონები და საქართველოს მიერ სხვა ქვეყნებთან გაფორმებული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება.
12. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელისშემშლელ ფაქტორებად გამოიკვეთა პრივატიზება „ქართულად“, რეფორმები შრომის კოდექსში, კაპიტალის ბაზრის განვითარებლობა, საბანკო საპროცენტო განაკვეთები, ინფლაციის მზარდი დინამიკა, ქვეყნებს შორის არსებული კონფლიქტი და საომარი ვითარება და სხვა.
13. საქართველოში 1966 წლიდან დღემდე 36 230 უცხოელი ინვესტორის მიერ განხორციელდა კაპიტალდაბანდება ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში და, მათ შორის, მხოლოდ 9 597 კომპანია არის აქტიური დღევანდელი მონაცემებით, რაც უცხოური ინვესტიციების დაბანდებას 37,8%-ით ეფექტიანობაზე მიგვანიშნებს.

14. ქვეყანას აქვს რეალური პოტენციალი მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები, და ამ გზით ხელი შეუწყოს ეროვნული ვალუტის სტაბილურობას და უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები. ქვეყანა პოლიტიკურად სტაბილურია, არ შეინიშნება კორუფცია, გაფორმებულია ასოცირების ხელშეკრულება ევროკავშირთან, რომლის ფარგლებშიც ევროკავშირის ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით ხდება ვაჭრობა, თავისუფალი ვაჭრობის შეხასებ შეთანხმებას მთავრობამ მიაღწია ჩინეთთანაც, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ინვესტიციების მოსაზიდად მხოლოდ ეს მაჩვენებლები არ არის საკმარისი.

15. ინვესტორებს ჭირდებათ მყარი გარანტიები, რომ მოახდინონ გრძელვადიანი ინვესტირება ქვეყანაში და ეს გარანტიები თავის მხრივ მოიცავს, საკანონმდებლო და სასამართლო სისტემის მოწესრიგებას, სახელმწიფო რეგულაციების შერბილებას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, საექსპორტო პოტენციალის ზრდას, სამუშაო ძალის ხარისხის გაუმჯობესებას, და ფინანსური ბაზრების განვითარებას. ამ მიმართულებით განხორციელებული ცვლილებები კი თავისთავად, სახელმწიფოს ვალდებულებაა.

ნაშრომის აპრობაცია

დისერტაციის თემაზე სტუ-ს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა სამი კოლოკვიუმი:

1. ცალკეული სფეროს ინვესტირების პრობლემები და პერსპექტივები (თებერვალი 2017);
2. საინვესტიციო პროექტის დაფინანსება, ეფექტურობა და შეფასების მეთოდები (ივლისი 2017);
3. საქართველოს საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია“(მარტი 2018);

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია ავტორის მეცნიერულ შრომებში:

1. ქალბატონი ნანა შონია, ეკონომიკის დოქტორი, ზურა მუშკუდიანი ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი, თეიმურაზ გვეტაძე ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი. – „International Investment Position of Georgia“ -საერთაშორისო ჟურნალში

(ამერიკა) -INTERNATIONAL JOURNAL OF CURRENT ADVANCED RESEARCH. 2018 წელი.

2. თეიმურაზ გვეტაძე ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი. – „საინვესტიციო პროექტის ეფექტიანობის შეფასების მეთოდები და მისი სრულყოფის გზები“ - საერთაშორისო ჟურნალში (ბაქო) -„THE CAUCASUS“ 2017 წელი.

3. თეიმურაზ გვეტაძე - „ინოვაციური და ინვესტიციური საქმიანობის საგადასახადო სტიმულირების ზოგიერთი ასპექტები საქართველოში“ ჟურნალი - ელექტრონული ჟურნალი BLSS. 2017 წელი.

კვლევის შედეგების გამოქვეყნება საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციებზე. სადისერტაციო ნაშრომში კვლევის ძირითადი დებულებები და შედეგები მოხსენებულია შემდეგ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებზე:

1. თეიმურაზ გვეტაძე - თანამედროვე განვითარების ეკონომიკური სამართლებრივი და სოციალური პრობლემები II საერთაშორისო კონფერენცია 29-30 სექტემბერი 2017წ.